ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 82/2016-ᲮᲡᲡ

ქ. თბილისი

21 დეკემბერი, 2016 წ

შემსყიდველი: საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 555 702
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8-პარლამენტის სასახლე
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 4
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი

მიმწოდებელი: შ.პ.ს. "საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ"
საიდენტიფიკაციო კოდი: **202 907 943**

მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 173

საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE33TB1100000004467519

ერთი მხრივ საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო მისი თავმჯდომარეს, ე. შენგელაიას სახით, (შემდგომში "შემსყი"), და მეორეს მხრივ შპს "საერთაშორისო კორპორაცია აი სი არ"" წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანი ანდიაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-3 პუნკტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად (CPV 55320000) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 1,500 (ერთიათასხუთასი) ლარს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად ღონისძიების ფარგლებში (ჰერალდიკისა და ვექსილოლოგიის პირველი ეროვნულიკონფერენცია) გაუწიოს მომსახურება "შემსყიდველს" რესტორან "ტაბლაში" 2016 წლის 22 დეკემბერს დანართის თანახმად.

1.2. "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. ფასი და გადახდის პირობები

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება თანდართული ინვოისის შესაბამისად.

2.2. მომსახურების ფასი და ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან, ასევე კანონით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის, ინვოისის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდების შემდეგ.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება მომსახურების დასრულების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, ანგარიშ ფაქტურის ან/და ინვოისის საფუძველზე, მასში აღნიშნული თანხის ოდენობის შესაბამისად.

3.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

3.3. გადახდის ფორმა –უნაღდო ანგარიშწორებით.

3.4. გადაცემის თარიღად ითვლება მირება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი. დველი

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე

4.2. თავიანთი ველდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევეში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით დადაგენილი მომსახურების ვადის დარღვევით მიწოდების შემთხვევაში, დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

4.4. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 0.1 %-ის ოდენობით.

4.5. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების აღმოფხვრის გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

4.6. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე მხოლოდ მათგან დამოუკიდებელი სტიქიური უბედურების ან სხვა ფორს-მაჟორული შემთხვევაში.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

5.3. ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება, ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამისილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ელდარ შენგელაია

მიმწოდებელი

შპს "საერთაშორისო
კორპორაცია აი სი არ"

დირექტორი

ნანი ანდიაშვილი